ქალაქი თბილისი, შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე (ს/კ: 01.19.30.001.176), სახანძრო შენობის რეკონსტრუქციის პროექტის

საექსპერტო დასკვნა

კონსტრუქციული ნაწილი

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქალაქი თბილისი, შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე (ს/კ: 01.19.30.001.176), სახანძრო შენობის რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების მიხედვით, საძირკვლის ფუძედ მიღებულია თიხა, მოყვითალო - ყავისფერი კენჭების ჩანართებით ნახევრადმყარი კონსინსტენციის, პირობითი საანგარიშო წინაღობა წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_0 = 3,0$ კგძ/სმ^2. გრუნტის სხვა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები იხილეთ პროექტის გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონაში. ქარის დაწნევის ნორმატიული მნიშვნელობაა-85კგძ/მ^2; თოვლის ნორმატიული დატვირთვა-50კგძ/მ^2.

ადგილზე ვიზუალური დათვალიერება- გამოკვლევის შედეგად დადგინდა, შენობა ერთსართულიანია, არ გააჩნია მიწისქვეშა სართული (სარდაფი).

შენობას აქვს ლითონის კონსტრუქციებისაგან შედგენილი სათვალთვალო კოშკი. **(სურ. №1.).**

საძირკვლის კედლები, მონოლითური რკინაბეტონის 30 სმ. სისქის. კედლის ტანი შედგება უჟანგავი ე. წ. ,,პროფნასტილი''-საგან.

შენობის კარკასი და გადახურვა წარმოადგენს ლითონის კონსტრუქციებს **(სურ. №2.).**



სურ.№1.



სურ.№2.

ინტერიერის დათვალიერების შედეგად დადგინდა, სახურავის გადახურვა ორქანობიანია, შედგება ლითონის კონსტრუქციებისაგან და გადახურულია ე. წ. ,,პროფნასტილი''-თ. **(სურ. №3.).**

შენობას არ აღენიშნება დაზიანებები, ჯდენითი და რღვევითი ბზარები, კონსტრუქციულად კარგ მდგომარეობაშია. პროექტით შესაძლებელია, გვერდზე მდგომი შენობა-ნაგებობის მოწყობა.



სურ.№3.

დასკვნა: ამრიგად, ქალაქი თბილისი, შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე (ს/კ: 01.19.30.001.176), სახანძრო შენობის რეკონსტრუქციის პროექტის, არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტის გათვალისწინებით, შესაძლებელია გვერდზე მდგომი შენობა-ნაგებობის მოწყობა, საქართველოში არსებული სამშენებლო ნორმების დაცვით და ეძლევა დადებითი შეფასება.

დამოუკ. ექსპერტი,
საინჟ. მეცნ. დოქტორი: **ჯ. ვაშაკიძე**



მობ. 593 28 34 58 **14.08.2024**

გამოყენებული ლიტერატურა:

- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები – ,, სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01 – 09).
- ✓ ,,საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია“, დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს მიერ, 1991 წლის 17 ივლისს. თბილისი 1992წ, 140 გვ.
- ✓ СНиП II-22-81* Каменные и Армокаменные Конструкций. (სნ და წ II-22-81* ქვის და არმოქვის კონსტრუქციები).
- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები - „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01-08).
- ✓ СП 13-102-2003 ,,ნაგებობების და შენობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები”